ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მარეხ ნიჟარაძის 2025წლის (ოქტომბრის თვიდან 2026 წლის ოქტომბრის თვემდე) გაწეული საქმიანობის შესახებ
ანგარიში N1

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდში (2025 წლის ოქტომბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე) ჩემ მიერ, როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საფიჩხიის ოლქის მაჟორიტარის, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, განხორციელებული საქმიანობის შედეგები. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა ჩემთვის განსაკუთრებული პატივი და, ამავდროულად, უმაღლესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პასუხისმგებლობაა. ჩემი საქმიანობის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს მოქალაქეების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება, მათი პრობლემების დროული და ეფექტიანი მოგვარება, ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერა და ქალაქში მცხოვრებთა კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა.

საანგარიშო პერიოდში სისტემატურად ვიღებდი მონაწილეობას საკრებულოს სხდომებსა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში — კერძოდ, ვმონაწილეობდი საკრებულოს 15 (13 რიგითა და 2 რიგგარეშე) სხდომაში, ასევე საკრებულოს ბიუროს 28 სხდომაზე. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მისი უფლებამოსილებების განხორციელებისას, ვუზრუნველყოფდი საკრებულოს საქმიანობის უწყვეტობასა და ეფექტიან ორგანიზებას.

მიმაჩნია, რომ წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის წარმატების ძირითადი საზომი მოსახლეობასთან უწყვეტი და პირდაპირი კომუნიკაციაა. სწორედ ამ მიდგომით, საანგარიშო პერიოდში რეგულარულად ვხვდებოდი მოქალაქეებს, ვუსმენდი მათ საჭირბოროტო საკითხებს და ვცდილობდი, თითოეული მიმართვა არ დარჩენილიყო უყურადღებოდ. მოქალაქეთა განცხადებებისა და მიმართვების საფუძველზე, აქტიური შუამდგომლობა გავუწიე 216 მოქალაქეს, .მათ შორის წერილობითი სახით 85 მოქალაქეს მერიის შესაბამისი სამსახურების წინაშე — საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების, სკვერებისა და ეზოების კეთილმოწყობის, ასევე სხვა გამწვანება-კეთილმოწყობითი და კომუნალური პრობლემების ოპერატიულად მოგვარების მიზნით. ჩემი მიდგომა მარტივია: მოქალაქის ხმა უნდა იყოს მოსმენილი, ხოლო მისი პრობლემა — გადაჭრილი. მოსახლეობასთან ურთიერთობისას განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდი სოციალურად დაუცველ, ხანდაზმულ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომელთა საჭიროებებიც ჩემი საქმიანობის მუდმივი პრიორიტეტია.

ქალაქ ქუთაისის მდგრადი განვითარება პირდაპირ უკავშირდება თანამედროვე და ხარისხიან ინფრასტრუქტურის შექმნას. საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი მუნიციპალური ბიუჯეტის ისეთი პრიორიტეტული მიმართულებების გაძლიერებას, როგორებიცაა:

- საგზაო და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მასშტაბური განვითარება;

- ქალაქის გარე განათების სისტემის გაუმჯობესება და მოდერნიზაცია;
- ეზოებისა და საჯარო სივრცეების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობების მხარდაჭერა, მათ შორის ავარიული ლიფტების რეაბილიტაციისა და სახურავების შეკეთების პროგრამებით;
- საბავშვო და სპორტული მოედნების მოწყობა და რეაბილიტაცია.

საკრებულოს სხდომებზე და საკომისიო მუშაობისას აქტიურად ვმონაწილეობდი ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვასა და კოორდინაციაში, რათა თითოეული პროექტი მაქსიმალურად შეესაბამებოდეს მოსახლეობის რეალურ საჭიროებებს და განხორციელებულიყო დადგენილ ვადებში, გამჭვირვალედ და მაღალი ხარისხით.

აქტიურად ვადევნებდი თვალყურს მუნიციპალური სერვისების მიმწოდებელი სუბიექტების საქმიანობას. კომისიების სხდომებზე დეტალურად მოვისმინეთ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ანგარიშები და განვახორციელეთ მონიტორინგი მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებზე.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდი ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების კონტროლს. მინდა ყურადღება გავამახვილო რამდენიმე პროექტზე:

გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაციის, მშენებლობისა და მოვლა-პატრონობის საბიუჯეტო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში დასრულებულია: გელათის ქუჩის #202-ის მიმდებარედ, ტყიბულის ქუჩა N165-ის მიმდებარედ, კლდიაშვილის ქუჩის N61-მდე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები — 805,9 ათ. ლარი; გელათის ქ. N165-თან საყრდენი კედლის მოწყობა; ტყიბულის ქუჩის #147-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა — 128 ათ. ლარი; გელათის ქ. N165-თან საყრდენი კედელი — 13,5 ათ. ლარი.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა

პროექტის ფარგლებში დასრულდა ეზოების კეთილმოწყობა შემდეგ მისამართებზე: სოლომონ 1-ის ქ. მე-6 შეს. #4 — 5,8 ათ. ლარი; ტყაბლაძის ქ. #29 — 4,3 ათ. ლარი; ტ. ტაბიძის ქ. #39 — 12,8 ათ. ლარი.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაცია დასრულდა:

- მწვანე ყვავილას ქ. N204;
- მწვანე ყვავილას ქ. N45.

ჩემთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ქალაქის ყოველი ახალი ინიციატივა და ყოველი განხორციელებული პროექტი ემსახურებოდეს ქუთაისელთა ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესებას. ამ მიზნით, საანგარიშო პერიოდში მხარს ვუჭერდი ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ქალაქის სისუფთავეს, საჯარო სივრცეების კეთილმოწყობას, გამწვანების გაზრდას, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და

მოძრაობის მოწესრიგების გაუმჯობესებას, ასევე ხელმისაწვდომი და ხარისხიანი მუნიციპალური სერვისების განვითარებას.

ჩემი საქმიანობის ფარგლებში აქტიურად ვმონაწილეობდი კომისიების მუშაობაში, სადაც ვცდილობდი, საკანონმდებლო და საზედამხედველო პროცესები მაქსიმალურად ორიენტირებული ყოფილიყო მოქალაქეთა ინტერესებსა და კომფორტზე. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდი იმას, რომ ბიუჯეტის საშუალებები მიემართებოდეს იმ მიმართულებებს, რომლებიც მოსახლეობისთვის ყველაზე საჭირო და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში საქმიანობისას განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდით ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელიც უზრუნველყოფდა ფულადი სახსრების მობილიზებას, ბიუჯეტის შემოსავლების მიზნობრივად განკარგვას, მუნიციპალიტეტის ქონების მართვასა და განკარგვის წესების დადგენას, ასევე საქალაქო მეურნეობის განვითარებას.

განხილულ იქნა ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულებათა პროექტები: ნუსხაში განხორციელდა 7 ცვლილება და დაემატა 26 ობიექტი, რომელთა პრივატიზაციის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მოხდება დამატებითი თანხების აკუმულირება. კომისია აქტიურად იყო ჩართული 2026 წლის ბიუჯეტის ფორმირებაში და მონაწილეობდა ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ დადგენილების მიღებაში. საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე ოთხი საკითხი.

ამასთან, კომისიამ მოისმინა მერიის შესაბამისი სამსახურების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული და სხვა ანგარიშვალდებული პირების ანგარიშები გაწეული საქმიანობის შესახებ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თითოეული წევრი აქტიურად იყო ჩართული 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და ფორმირებაში. პროექტის მეორე (საბოლოო) ვარიანტში აისახა კომისიის მიერ 2025 წლის 24 ნოემბრის სხდომაზე წარმოდგენილი შენიშვნები და რეკომენდაციები, რის შემდეგაც 2025 წლის 19 დეკემბრის სხდომაზე კომისიამ ბიუჯეტის პროექტს დადებითი რეკომენდაცია მისცა და მოამზადა შესაბამისი დასკვნა. კომისიამ შეაფასა მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები, განიხილა ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები (2025 წელს განხორციელდა ერთი, ხოლო 2026 წელს სამი ცვლილება; ყველა შემთხვევაში მომზადდა დადებითი დასკვნა) და მოისმინა კომისისს მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმით გათვალისწინებული მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ანგარიშები. კომისია საქმიანობას წარმართავდა საჯაროობის, ანგარიშვალდებულებისა და კოლეგიალურობის პრინციპების დაცვით.

ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს საქმიანობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს საქმიანობის მთავარ

პრიორიტეტს წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე ქალთა და ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება. საბჭო აქტიურად თანამშრომლობს როგორც მუნიციპალურ სტრუქტურებთან, ასევე სახელმწიფო უწყებებთან, სამედიცინო სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან.

როგორც ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე, ჩემს საზედამხედველო და საზოგადოებრივ საქმიანობაში განსაკუთრებულ ადგილს ვუთმობ ქალთა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას, მათ სოციალურ-ეკონომიკურ და საგანმანათლებლო მხარდაჭერას, ჯანმრთელობის დაცვასა და ძალადობის პრევენციას. საანგარიშო პერიოდში საბჭოს ინიციატივითა და აქტიური ჩართულობით განხორციელდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი პროექტები და ღონისძიებები:

1. **ქალთა ჯანმრთელობის დაცვა და პრევენციული კამპანიები**
   - **„ვარდისფერი ოქტომბრის“ საინფორმაციო მსვლელობა:** საბჭოს ორგანიზებითა და „ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციის ჩართულობით, საკრებულოს აპარატის თანამშრომლებთან ერთად გაიმართა საინფორმაციო მსვლელობა ძუძუს კიბოს პრევენციისა და ადრეული დიაგნოსტიკის მნიშვნელობის პოპულარიზაციის მიზნით.
   - **საჯარო ლექცია ახალგაზრდებისთვის — „ჯანდაცვის პოლიტიკა და პრევენციული ღონისძიებები“:** საბჭოს ჩართულობით მოეწყო მასშტაბური შეხვედრა ქუთაისის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თსუ-ის ქუთაისის პროფესიული განათლების ცენტრების სტუდენტებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი ირმა ზავრადაშვილი და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე ეკატერინე ადამია. ახალგაზრდებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს უფასო სახელმწიფო ჯანდაცვისა და სკრინინგ-პროგრამების შესახებ.
   - **სემინარი ბაგა-ბაღების ფსიქოლოგებისთვის:** საბჭოს ეგიდითა და „ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციის ჩართულობით, ბაგა-ბაღების ფსიქოლოგებისთვის გაიმართა შეხვედრა NCDC-ის, მერიის სოციალური სამსახურისა და სამედიცინო ცენტრ „ჰერას“ ექიმ-რადიოლოგის მონაწილეობით, სადაც ყურადღება გამახვილდა ქალთა ჯანმრთელობის დაცვასა და პრევენციულ სკრინინგზე.
2. **ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ინიციატივები (16-დღიანი კამპანია)**
   - **უწყებათაშორისი შეხვედრა ადგილობრივ ხელისუფლებასთან:** სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სააგენტოს ქუთაისის სტრუქტურულ ერთეულთან (ხელმძღვანელი ნინო ხონელიძე, იურისტი სოფიო ქარჩხაძე) ერთად გაიმართა შეხვედრა ძალადობის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ.
   - **შეხვედრა ადმინისტრაციული ერთეულების თანამშრომლებთან:** იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის ბიუროს ხელმძღვანელ ესმა ნორაკიასთან

ერთად ჩატარდა შეხვედრა მოქალაქეებთან უშუალო შეხების მქონე თანამშრომლებთან, ძალადობის ფორმების დროულად ამოცნობისა და უფასო იურიდიული დახმარების მექანიზმების შესახებ.

- **მოსწავლეთა ტრენინგი — „კიბერუსაფრთხოება და კიბერბულინგი“:** კომპიუტერულ მეცნიერებათა დოქტორ გიორგი კაპანაძესთან თანამშრომლობით, სკოლის მოსწავლეებისთვის ჩატარდა ტრენინგი ონლაინ ძალადობის ფორმებსა და პრევენციის გზებზე.

3. ბავშვთა უფლებები, ინკლუზიური განათლება და სოციალური ზრუნვა

- **„საჯარო დიალოგი ინკლუზიურ განათლებაზე“:** განათლების სამინისტროს ინიციატივით გამართულ სამუშაო შეხვედრასა და პანელურ დისკუსიაში (განათლების მინისტრის მოადგილე ბაია კვიციანისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა მონაწილეობით) აქტიურად ჩავერთე და განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილე სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მომუშავე მასწავლებელთა პროფესიულ მხარდაჭერაზე.

- **ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე SOS ბავშვთა სოფელში:** საბჭოს წევრებთან ერთად ვესტუმრეთ „SOS ბავშვთა სოფლის“ ქუთაისის ფილიალს, პატარებს გადავეცით საჩუქრები და მადლობა გადავუხადეთ პერსონალს მათი უმნიშვნელოვანესი ღვაწლისთვის.

- **დედის დღის აღნიშვნა და სოციალური ვიზიტები:** ვიზიტი „SOS ბავშვთა სოფლის“ 1-დან 3 წლამდე ბავშვების დღის ცენტრში, სადაც გავეცანით ბავშვთა მოვლის პირობებს და დედის დღე მივულოცეთ ცენტრის თანამშრომლებს; ვიზიტი ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატში და ბენეფიციარი ქალბატონებისთვის დედის დღის პირადად მილოცვა.

4. ახალგაზრდობისა და გოგონათა გაძლიერება

- **გოგონათა საერთაშორისო დღე:** #33 საჯარო სკოლაში, საბჭოს წევრთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელ მაია ცქიტიშვილთან ერთად, მოსწავლე გოგონებთან გამართულ შეხვედრაზე ჩავატარეთ დისკუსია თემაზე „ქალთა ადგილი დღეს“ და ახალგაზრდებს გავუზიარეთ წარმატებისა და კარიერული წინსვლის გამოცდილება.

ქალებისა და ბავშვების მხარდაჭერა კვლავ ჩემი საქმიანობის უმთავრეს პრიორიტეტად რჩება. წინ კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი, მასშტაბური და საინტერესო პროექტი გველოდება.

მომდევნო საანგარიშო პერიოდში ჩემი საქმიანობის მთავარ ღერძად კვლავაც დარჩება:

- მოქალაქეებთან უშუალო და ღია კომუნიკაცია, მათი ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება და პრობლემების ოპერატიული მოგვარება;
- მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერა და მათი განხორციელების ეფექტიანი მონიტორინგი;

- ქალაქის კეთილმოწყობა, საჯარო სივრცეების განვითარება და მოსახლეობისთვის კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა;
- საკრებულოს საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერება.

მომავალშიც მაღალი პასუხისმგებლობითა და საზოგადოებრივი სოლიდარობის გრძნობით გავაგრძელებ საქმიანობას ქუთაისის პროგრესისა და თითოეული მოქალაქის კეთილდღეობისათვის.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წევრი მარეხი ნიჟარაძე